ანალიტიკური ესე

დანიელ პენაკის მოთხრობა „სკოლის სევდა“ განსაკუთრებულად ეხება იმ პრობლემებს, რომელსაც დღესაც ბევრი ახალგაზრდა განიცდის. სკოლისადმი გულგრილობას და მოტივაციის ნაკლებობას. პენაკის გმირი თავს დამარცხებულად გრძნობს, რადგან ვერ ამჩნევს სწავლის ნამდვილ მიზანს. ავტორი გვაჩვენებს, რომ ხშირად მოსწავლეებისთვის სკოლა მხოლოდ ვალდებულებაა, თუმცა სინამდვილეში ის არის ადგილი, სადაც მოსწავლემ თავის სესაძლებლობები და უნარები უნდა აღმოაჩინოს. ამ კონტექსტში სწავლა ნიშნავს არა მხოლოდ ფაქტების დამახსოვრებას, არამედ სამყაროს გაგების და საკუთარი თავის აღმოჩენის პროცესს.

ზუსტად ამ აზრს ავითარებს სტივ ჯობსიც თავის ცნობილ გამოსვლაში სტენფორდის კურსდამთავრებულთა წინაშე. მან კოლეჯი მიატოვა, მაგრამ არ შეუწყვეტია სწავლა. სწავლობდა ცხოვრებიდან, შეცდომებიდან და გამოცდილებიდან. მისი სიტყვები: „დააკავშირეთ წერტილები“ ნიშნავს, რომ ყოველი მიღებული ცოდნა და გამოცდილება ერთ დღეს წარმატების საფუძველად იქცევა. ჯობსის მაგალითი გვაჩვენებს, რომ განათლება არ მთავრდება დიპლომით, ის არის მუდმივი პროცესი, რომელიც ადამიანს აძლევს ძალას იპოვოს თავისი გზა.

სწორად გამოყენებული კონტექსტი, ანუ წარსული გამოცდილებების და ცოდნის გააზრება, ეხმარება ადამიანს კარიერული წინსვლის დაგეგმვაში. როგორც ჯობსმა ბავშვობაში კომპიუტერებისადმი ინტერესი გარდაქმნა მსოფლიო ინოვაციად, ისე შეუძლია ნებისმიერ ახალგაზრდას თავისი ცოდნა და შესაძლებლობები გამოიყენოს, მოარგოს მიზანს და შექმნას ახალი შესაძლებლობები.

თანამედროვე სამყაროში განათლება აღარ არის მხოლოდ აკადემიური მიღწევა, ის არის პიროვნული განვითარება, კრიტიკული აზროვნება და პრიორიტეტების სწორად გადაფასება. დღეს დღეობით

წარმატებულია ისეთი ადამიანი ვინც მუდმივად სწავლობს, არ უშინდება შეცდომებს და იცის, რომ სიბეჯითე წარმატების საწინდარია.

პენაკის გმირის სევდა და ჯობსის თავდაჯერებულობა თითქოს ურთიერთსაპირისპირო ემოციებია, მაგრამ ორივე გვასწავლის ერთსა და იმავე ჭეშმარიტებას რაც არასოდეს შეიცვლება: სწავლა არის გზა თავისუფლებისკენ. გზა, რომელიც ადამიანს აძლევს საშუალებას იფიქროს, აირჩიოს და შექმნას საკუთარი მომავალი.

მარიამ ივანიძე